



საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
Georgian Civil Aviation Agency

**სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს
სამართალშემოქმედებითი პროგრამა
2021-2023 წლებისთვის**

www.gcaa.ge

შესავალი

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს საქმიანობა მოიცავს სამ ძირითად პროცესს. ესენია: სამოქალაქო ავიაციის რეგულირება (სამოქალაქო ავიაციის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ან/და ცვლილებების პროექტების შემუშავება), ავიასწარმოებისა და ავიასპეციალისტების სერტიფიცირება და მუდმივი ზედამხედველობა. სამოქალაქო საავიაციო დარგის რეგულირების ფარგლებში, სააგენტო უზრუნველყოფს სამოქალაქო ავიაციის სფეროში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდირებული პრაქტიკის დანერგვას, მათ შორის „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციით გათვალისწინებული სტანდარტების დანერგვასა და „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ საქართველოსა და ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით“ (CAAA) გათვალისწინებული ევროპული რეგულაციების ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციას.

სამოქალაქო ავიაციის მარეგულირებელი საკანონმდებლო და/ან კანონქვემდებარე აქტების შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი ფაქტორია ავიასაწარმოებთან კონსულტაცია და მათი ჩართულობა პროცესის მიმდინარეობაში, რისი უზრუნველყოფაც სააგენტოს მიერ ხორციელდება ინფორმაციის დია და დაუბრკოლებელი გაცვლის გზით (ნორმატიული აქტის პროექტების გარე განხილვის მექანიზმი).

გარდა, ზემოთაღნიშნულისა, სააგენტოს ახალი ინიციატივით, სამართალშემოქმედებითი პროცესის მეტი გამჭვირვალობის და მომხმარებლების ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, უწყება საჯაროს ხდის სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მოკლე და საშუალო ვადიან სამართალშემოქმედებით პროგრამას. სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული პროგრამა წარმოადგენს შიდა დოკუმენტის ადაპტირებულ ვერსიას (სამართალშემოქმედებითი პროგრამის შიდა მოხმარების დოკუმენტი მოიცავს უფრო დეტალურ ინფორმაციას ამოცანებზე, ვადებსა და შესრულების სტატუსზე), რომლის მიზანია, გააცნოს ინდუსტრიას და დაინტერესებულ პირებს, სააგენტოს მიმდინარე და მომდევნო წლების დღის წესრიგი, სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები დარგის რეგულირების მიმართულებით.



სამართალშემოქმედებითი პროცესი, მისი ეტაპები და ურთიერთქმედება

სააგენტოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა ითვალისწინებს სამოქალაქო ავიაციის სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტების, სახელმძღვანელოების, ინსტრუქციების შემუშავებას და მიღებას, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული, სამოქალაქო ავიაციის სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების პროექტების შემუშავებას.

სააგენტოს მიერ სამოქალაქო ავიაციის მარეგულირებელი აქტების შემუშავების უფლებამოსილება განსაზღვრულია საქართველოს საჰაერო კოდექსით, ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ საქართველოს კანონით და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დებულებით.

სამოქალაქო ავიაციის სააგენტო ადგენს საკანონმდებლო და/ან კანონქვემდებარე აქტების მიღების აუცილებლობას და შესაბამისი შემავალი მონაცემების გაანალიზების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი ნორმატიული აქტის შემუშავების თაობაზე. შემავალი მონაცემები შეიძლება იყოს: საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, კონვენციებიდან, საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციების სტანდარტებისა და რეკომენდებული პრაქტიკისაგან გამომდინარე ნორმატიული აქტების გამოცემის ვალდებულებები; საკანონმდებლო ცვლილებები; მოვლენათა შეტყობინების, მოკვლევის ბიუროს ანგარიშის, რისკის შეფასების სისტემის და სხვა მონაცემების ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით კონკრეტული სფეროს ნორმატიული რეგულირების აუცილებლობა; დაინტერესებული პირების/ჯგუფების ინიციატივა; შიდა და გარე აუდიტის შედეგები და სხვა. აღნიშნული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე დგინდება ახალი საკანონმდებლო ან/და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შემუშავების, ან მოქმედ აქტებში შესაბამისი ცვლილების შეტანის საჭიროება, რის შემდეგაც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი შედის სააგენტოს კანონშემოქმედებით პროგრამაში, სააგენტოს ხარისხის სახელმძღვანელოში განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.

საკანონმდებლო და/ან კანონქვემდებარე აქტების შემუშავების პროცესის ეტაპებია:

ინიცირების ეტაპი ⇒ პირველადი პროექტის შემუშავების ეტაპი ⇒ შიდა განხილვის ეტაპი ⇒

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავება ⇒ გარე განხილვის ეტაპი ⇒ მიღების ეტაპი

ამოცანების პრიორიტეტულობას და საჭირო რესურსების განსაზღვრას ახორციელებს სააგენტოს ხელმძღვანელობა, სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით. პრიორიტეტების დადგენის შემდეგ, კონსოლიდირებულ სამოქმედო გეგმას ითანხმებს დირექტორი. გეგმა შეიძლება იყოს ერთწლიანი ან მოიცავდეს რამდენიმე წლის მონაცემებს. ხარისხის დეპარტამენტი კონსოლიდირებულ გეგმას ავრცელებს სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში. დეპარტამენტის ხელმძღვანელები ახორციელებენ მათზე დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულისთვის გეგმით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელებას. დეპარტამენტის უფროსები გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების სტატუსის კონტროლის საფუძველზე ხელმძღვანელობას წარუდგენენ ანგარიშებს (როგორც წესი, წელიწადში ორჯერ). გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების კონტროლი ასევე ხორციელდება ხარისხის მართვის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული შიდა აუდიტების მეშვეობით.



აბრევიატურები

ცხრილში გამოყენებულ აბრევიატურებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

L - დაბალი პრიორიტეტის მქონე ამოცანა;

M - საშუალო პრიორიტეტის მქონე ამოცანა;

H - მაღალი პრიორიტეტის მქონე ამოცანა;

მიმართულებები:

AGA - აეროდრომებისა და აეროპორტები

AIR - საჰაერო ხომალდების ვარგისობა და რეგისტრაცია

ANS - სააერონავიგაციო მომსახურება;

ATD - გადაყვანა-გადაზიდვები;

FCL - საფრენოსნო ეკიპაჟის სერტიფიცირება;

OPS - ფრენის სტანდარტები და საჰაერო ხომალდის ექსპლუატაცია;

REG - სააგენტოს სტრუქტურულ მოწყობასა და ფუნქციებთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები;

SEC - საავიაციო უშიშროება;

UGA - უპილოტო საჰაერო სისტემები და საერთო დანიშნულების ავიაცია.

*ამოცანებს მინიჭებული აქვთ საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც შედგება მიმართულების აღმნიშვნელი აბრევიატურის და ციფრისაგან, რომელიც აღნიშნავს პროგრამაში მის რიგითობას. წინამდებარე პროგრამა არ შეიცავს უკვე შესრულებულ/დანერგილ ამოცანებს.



სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს სამართალშემოქმედებითი პროგრამა 2021-2023 წლებისთვის

| ამოცანის N | პრიორიტეტი | ამოცანა | დაკავშირებული რეგულაცია |
|------------|------------|--|---------------------------|
| AGA 05 | M | აეროდრომის დაცვის არეს დადგენისა და დაბრკოლებების შემქმნელი შენობა-ნაგებობათა მშენებლობის შეზღუდვისა და ნიშანდების წესის პროექტის მომზადება | EU Reg.139/2014 |
| AGA 06 | L | სამოქალაქო აეროდრომებზე საჰაერო ხომალდების ბაქანზე მომსახურების წესის პროექტის შემუშავება | |
| AGA 07 | H | საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 თებერვლის N87-ე დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტში "აეროდრომების/ვერტოდრომების პროექტირების და ექსპლუატაციის ძირითადი პირობები" ცვლილების შეტანა | EU Reg.139/2014 |
| AGA 08 | L | სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 13 ნოემბრის N185 ბრძანებით დამტკიცებული „სააერნაოსნო მომსახურების საწარმოში დაგეგმილი ცვლილების ზედამხედველობის წესში" ცვლილებების პროექტის მომზადება | |
| AGA 10 | M | სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 1 მაისის N56 ბრძანება "საქართველოს სამოქალაქო აეროდრომებზე ველური ბუნების წარმომადგენლების მიერ შექმნილი საფრთხეების შემცირებისა და მართვის წესში" ცვლილების შეტანა | |
| AGA 14 | M | აღზ-ზე არსებული მდგომარეობის შეტყობინების წესი | |
| AIR 03 | H | EU REG 1321/2014 (საჰაერო ხომალდის და ჰაერსაანაოსნო პროდუქტების, ნაწილების და მოწყობილობების უწყვეტი ფრენისთვის ვარგისიანობის და ამ პროცესში ჩართული ორგანიზაციების და პერსონალის დამტკიცების შესახებ) Part-M (საავიაციო ტექნიკის ფრენის ვარგისობის შენარჩუნების მოთხოვნები) | EU REG 1321/2014 Part-M |
| AIR 04 | H | EU REG 1321/2014 (საჰაერო ხომალდის და ჰაერსაანაოსნო პროდუქტების, ნაწილების და მოწყობილობების უწყვეტი ფრენისთვის ვარგისიანობის და ამ პროცესში ჩართული ორგანიზაციების და პერსონალის დამტკიცების შესახებ) Part-145 (საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების მოთხოვნები) | EU REG 1321/2014 Part-145 |
| AIR 05 | M | EU REG 1321/2014 (საჰაერო ხომალდის და | EU REG 1321/2014 |



| ამოცანის N | პრიორიტეტი | ამოცანა | დაკავშირებული რეგულაცია |
|------------|------------|--|---------------------------|
| | | ჰაერსანაოსნო პროდუქტების, ნაწილების და მოწყობილობების უწყვეტი ფრენისთვის ვარგისიანობის და ამ პროცესში ჩართული ორგანიზაციების და პერსონალის დამტკიცების შესახებ) Part-66 (საავიაციო ტექნიკური პერსონალის ლიცენზიის კატეგორიები შესაბამისი საჰაერო ხომალდის ტიპის ოსტატობის მიხედვით და ლიცენზიის მისაღებად საჭირო სწავლების, ტესტირებისა და სამუშაო გამოცდილების მოთხოვნები) | Part-66 |
| AIR 06 | M | EU REG 1321/2014 ((საჰაერო ხომალდის და ჰაერსანაოსნო პროდუქტების, ნაწილების და მოწყობილობების უწყვეტი ფრენისთვის ვარგისიანობის და ამ პროცესში ჩართული ორგანიზაციების და პერსონალის დამტკიცების შესახებ) Part-147 (საავიაციო ტექნიკური სასწავლო ორგანიზაციის სერტიფიცირების მოთხოვნები) | EU REG 1321/2014 Part-147 |
| AIR 11 | M | საჰაერო ხომალდების ფრენის ვარგისობისა და ხმაურის სერტიფიკატების გაცემის წესი ბრძანება N209 განახლება | |
| AIR 12 | M | საავიაციო ტექნიკის საფრენად ვარგისობის შენარჩუნების საწარმოების სერტიფიცირების წესი (CAMO ორგანიზაციის სერტიფიცირების წესი) | EU REG 1321/2014 Part M |
| AIR 14 | M | EU REG 1321/2014 (საჰაერო ხომალდის და ჰაერსანაოსნო პროდუქტების, ნაწილების და მოწყობილობების უწყვეტი ფრენისთვის ვარგისიანობის და ამ პროცესში ჩართული ორგანიზაციების და პერსონალის დამტკიცების შესახებ) Part-T (ევროკავშირის წევრი ქვეყნების ექსპლუატანტის მიერ მესამე ქვეყნის რეგისტრაციის საჰაერო ხომალდისადმი ფრენის ვარგისობის შენარჩუნების მოთხოვნები). | EU REG 1321/2014 Part-T |
| AIR 15 | M | EU REG 1321/2014 (საჰაერო ხომალდის და ჰაერსანაოსნო პროდუქტების, ნაწილების და მოწყობილობების უწყვეტი ფრენისთვის ვარგისიანობის და ამ პროცესში ჩართული ორგანიზაციების და პერსონალის დამტკიცების შესახებ) Part-ML (მსუბუქი საავიაციო ტექნიკის ფრენის ვარგისობის შენარჩუნების მოთხოვნები) | EU REG 1321/2014 Part-ML |
| AIR 16 | M | EU REG 1321/2014 (საჰაერო ხომალდის და ჰაერსანაოსნო პროდუქტების, ნაწილების და მოწყობილობების უწყვეტი ფრენისთვის ვარგისიანობის და ამ პროცესში ჩართული ორგანიზაციების და პერსონალის დამტკიცების შესახებ) Part-CAO (მსუბუქი საავიაციო ტექნიკის ფრენის ვარგისობის შენარჩუნების და ტექმომსახურების საწარმოს სერტიფიცირების მოთხოვნები) | EU REG 1321/2014 Part-CAO |



| ამოცანის N | პრიორიტეტი | ამოცანა | დაკავშირებული რეგულაცია |
|------------|------------|--|-------------------------|
| ANS 29 | M | საავიაციო რუკების შემუშავების წესში (სააგენტოს დირექტორის N3 ბრძანება) ცვლილების შეტანა ICAO-ს მე-4 დანართში შესული ცვლილებების ასახვის მიზნით | |
| ANS 35 | H | სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 9 მარტის №52 ბრძანება საჰაერო მოძრაობის მომსახურების წესში ცვლილების შეტანა (ნორმების დახვეწა და მოთხოვნების სრულყოფა) | |
| ANS 44 | M | მეთვალყურეთა სერტიფიცირების წესის დამტკიცება | EU REG 2015/340 |
| ANS 46 | M | 47-ე ბრძანების ცვლილება ტექნიკური საშუალებების დაცვის არის დადგენის მიმართ მოთხოვნების დამატება | |
| ATD 19 | M | სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 17 ივლისის N122 ბრძანებით დამტკიცებული „საჰაერო ხომალდში ჩასხდომაზე უარის თქმის, ფრენის გაუქმების ან ხანგრძლივი დაგვიანების შემთხვევაში მგზავრებისათვის კომპენსაციის გაცემისა და დახმარების აღმოჩენის წესის“ ცვლილება | |
| ATD 20 | M | სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 27 დეკემბრის №264 ბრძანებით დამტკიცებული „საავიაციო სატვირთო ტერმინალების სერტიფიცირების და სერტიფიკატების ფორმების შესახებ წესის“ ცვლილება | |
| ATD 22 | M | საქართველოს მთავრობის 2007 წლის 19 სექტემბრის N196 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ტერიტორიაზე საავიაციო სამუშაოთა წარმოებისა და/ან არარეგულარული საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების ცვლილება | |
| ATD 23 | M | საჰაერო კოდექსის ცვლილება (საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვებთან, ალკოტესტებთან და SPO-სთან დაკავშირებული მუხლების განახლება) | |
| ATD 24 | M | საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 იანვრის N23 დადგენილებით დამტკიცებული „რეგულარული საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის განსახორციელებლად საქართველოში რეგისტრირებული ავიაგადამზიდველისათვის რეგულარული საერთაშორისო საჰაერო გადამზიდველის სტატუსის მინიჭების (დანიშვნის), დანიშნულ ავიაგადამზიდველებზე ფრენის სიხშირეების განაწილებისა და უცხო სახელმწიფოს მიერ დანიშნული ავიაგადამზიდველის აღიარების წესის“ ცვლილება | |



| ამოცანის N | პრიორიტეტი | ამოცანა | დაკავშირებული რეგულაცია |
|------------|------------|--|--------------------------------|
| FCL 03 | M | ევროპული რეგულაცია №1178/2011-ის მოთხოვნების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვის მიზნით „სამოქალაქო ავიაციის ეკიპაჟის წევრების მომზადებისა და სერტიფიცირების წესები“-ს კანონპროექტის ამოქმედებისათვის საჭირო ეტაპების გავლა. | EU REG 1178/2011 |
| FCL 12 | M | სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტოს N150-ე ბრძანებით დამტკიცებული „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების“ ცვლილება, პილოტ-ინსტრუქტორების და უფროსი პილოტ-ინსტრუქტორების მიმართ დადგენილ მოთხოვნებთან დაკავშირებით, ევროპული რეგულაციის 1178/2011 შესაბამისი მოთხოვნების ასახვის მიზნით (subpart J & K). | EU REG 1178/2011 |
| OPS 01 | M | საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირებისა და საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციის წესების შემუშავება ევროპული სტანდარტის (965/2012 ORO+CAT+SPA) მიხედვით | EU REG 965/2012 ORO+CAT+SPA |
| OPS 02 | M | საერთო დანიშნულების ავიაციის თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესების შემუშავება ევროპული სტანდარტის მიხედვით, 965/2012-ის NCC ნაწილის ტრანსპოზიცია. | EU REG 965/2012 NCC, NCO, |
| OPS 11 | L | "საავიაციო სამუშაოების სახელმძღვანელო" მე-8 ბრძანება) ახალი რედაქციის შემუშავება 965/2012-ის SPO ნაწილის მოთხოვნების მიხედვით | EU REG 965/2012 SPO |
| REG 03 | M | საჰაერო კოდექსის და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების განალიზება და სპეციალიზებული ექსპლუატაციის და საერთო დანიშნულების ავიაციის დანერგვის მიმართულებით შესაბამისი ცვლილებების პაკეტის მომზადება; | |
| REG 13 | M | საჰაერო კოდექსის (თავი V. მუხლები 29-36) ცვლილება | |
| REG 16 | M | 206-ე ბრძანების ანალიზი/განახლება ავიასაწარმოების მიერ საავიაციო ინციდენტების მოკვლევის მოთხოვნების დადგენა და სახელმძღვანელო დოკუმენტაციის შემუშავება ავიასაწარმოებისთვის | |
| REG 17 | M | მე-17 ბრძანების ანალიზი / განახლება EU Reg. 376/2014-ის მოთხოვნების შესაბამისად | EU Reg. 376/2014 |
| REG 18 | M | 691-ე დადგენილების (საქართველოს სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის, კომისიის დებულების, სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების სახელმწიფო | |



| ამოცანის N | პრიორიტეტი | ამოცანა | დაკავშირებული რეგულაცია |
|------------|------------|--|-------------------------|
| | | პროგრამის ძირითადი დებულებებისა და სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმის ძირითადი დებულებების დამტკიცების შესახებ) ანალიზი / განახლება | |
| REG 21 | M | დირექტორის 2013 წლის 24 ოქტომბრის №221 ბრძანებით დამტკიცებულ „სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირების წესებში“ ცვლილების შეტანა მეთვალყურეთა და საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების პერსონალის სასწავლო დაწესებულებების მიმართულებით | |
| REG 23 | M | ნახშირორჟანგის კომპენსირებისა და შემცირების სქემა საერთაშორისო ავიაციისთვის-CORSIA | |
| REG 22 | L | ავიასაწარმოს ხარისხის მართვის სისტემის ზოგადი წესის დამტკიცება | |
| SEC 08 | M | საბორტო კვების, საბორტო მარაგის, დასუფთავების კომპანიების და აეროპორტის სხვა მოიჯარეებისთვის წესის შემუშავება | |
| SEC 11 | M | საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 ივნისის №241 დადგენილება „მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან სამოქალაქო ავიაციის უშიშროების დაცვის უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა“ ცვლილებების შეტანა | |
| SEC 12 | M | NCASTP (საავიაციო უშიშროების სასწავლო პროგრამა) სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის N125-ე ბრძანებაში ცვლილების შეტანა | |
| SEC 14 | L | მთავრობის 242-ე დადგენილებაში ("სამოქალაქო ავიაციის სფეროში საავიაციო უშიშროების ხარისხის კონტროლის განხორციელების პროგრამა") ცვლილების შეტანა | |
| SEC 17 | M | სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 6 მარტის №26 ბრძანება „საქართველოს სამოქალაქო აეროპორტების კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცული ზონების განსაზღვრისა და ამ ზონებში დაშვების წესის“ დამტკიცების თაობაზე ცვლილება | |
| UGA 14 | M | საერთო დანიშნულების ავიაციის ექსპლუატაციის წესები. საქართველოს კანონმდებლობის, ICAO-ს მე-6 დანართის მე-2 ნაწილის, EASA-ს შესაბამისი რეგულაციის, დამხმარე დოკუმენტაციის (AMS, GM) ანალიზი და საჭიროებისამებრ თანმდევი სამართლებრივი აქტების შეცვლა | |



| ამოცანის N | პრიორიტეტი | ამოცანა | დაკავშირებული რეგულაცია |
|---------------|------------|--|----------------------------|
| UGA 15 | H | კომერციული სპეციალიზებული ექსპლუატაციის წესის (SPO) პროექტის შემუშავება | |
| UGA 18 | M | არაკომპლექსური საჰაერო ხომალდით არაკომერციული სპეციალიზებული ექსპლუატაციის წესის პროექტის შემუშავება (NCO) EASA-ის 965/2012-ის ანალიზი და საჭიროებისამებრ თანმდევნი სამართლებრივი აქტების შეცვლა. | EU Reg. 965/2012 (NCO) |
| UGA 20 | M | სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 31 მაისის №111 ბრძანებით დამტკიცებული „ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობის სერტიფიცირების წესის“ ცვლილება | |
| UGA 21 | M | სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის №203 ბრძანებით დამტკიცებული “თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესების” ანალიზი და საჭიროებისას ცვლილების პროექტის მომზადება | |

